საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3937
25/05/2023

3937-21-2-202305251239

შპს „გზას“
ელ. ფოსტა: gzabatumi2013@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3263 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქ. №1-ში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2007 წლის 15 მაისს შპს „გზის“ ასფალტ-ბეტონის ქარხნის ფუნქციონირებაზე გაცემულია №12 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-392). გზშ-ის ანგარიშისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ასფალტ-ბეტონის ქარხანაში გათვალისწინებულია წლიურად 200 000 ტონა ინერტული მასალის გადამუშავება, რისთვისაც გამოიყენება 1 300 000 $მ^3$ წყალი. აღნიშნული დასკვნით დადგენილი მე-2 პირობის შესაბამისად, მდ. ჭოროხში ჩამდინარე წყლის ჩაშვება უნდა მოხდეს გამწმენდი ნაგებობის გავლის შემდეგ. წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტზე მიმდინარეობს 80 000 $მ^3$ (116 000 ტ) ინერტული მასალის გადამუშავება, რისთვისაც გათვალისწინებულია 64 000 $მ^3$ წყლის გამოყენება. აღნიშნული არ შეესაბამება შპს „გზის“ ასფალტ-ბეტონის ქარხნის ფუნქციონირებაზე გაცემულ ეკოლოგიურ ექსპერტიზის დასკვნაში და გზშ-ის ანგარიშში მოცემულ ინფორმაციას და საჭიროებს დაზუსტებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ დაგეგმილია საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, სკრინინგის განცხადებაში უნდა დაზუსტდეს განცხადების წარმოდგენის სამართლებრივი საფუძველი და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დოკუმენტი უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების, ასევე, აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო